



გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის საელჩო  
თბილისი

**მნიშვნელოვანი მითითება:** სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს [www.tiflis.diplo.de](http://www.tiflis.diplo.de).

სატელეფონო ინფორმაცია:  
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399  
ინფორმაცია ელ. ფოსტით: [visa@tifl.diplo.de](mailto:visa@tifl.diplo.de)

## საინფორმაციო ფურცელი Nr. D1b: ვიზა დაქორწინებისათვის და შემდგომი მუდმივი საცხოვრებლისთვის

ნოემბერი 2019

### ზოგადი ინფორმაცია

სავიზო განაცხადის შემოტანა უნდა მოხდეს როგორც ბოლო ეტაპი მას მერე, რაც დაქორწინებისთვის გერმანიაში შექმნილი იქნება ყველა სამოქალაქო და მოქალაქეობრივი მდგომარეობის სამართლით გათვალისწინებული წინაპირობები. ამიტომ დროულად, სავიზო განაცხადის შემოტანამდე, დაუკავშირდით შესაბამის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურს და გაარკვიეთ, რა საბუთები გჭირდებათ იქ დაქორწინების განაცხადის შეტანისათვის.

ყველა საბუთი უნდა შემოიტანოთ **ორიგინალში** ორ ასლთან ერთად. უცხოენოვან საბუთებს თან უნდა დაურთოთ გერმანული თარგმანი. უცხოური საბუთები მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ (მაგ. დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა და ა.შ.) აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს ლეგალიზებული ან დამოწმებული აპოსტილით. იგივე სახის ქართულ საბუთებს უნდა ჰქონდეს აპოსტილი.

### ვიზის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

- გერმანულად ან ინგლისურად სრულყოფილად შევსებული და პირადად ხელმოწერილი ორი [ანკეტა](#);
- პირადად ხელმოწერილი ორი განცხადება უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად ამავე კანონის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის ნახვაც შესაძლებელია [გერმანიის საელჩოს ვებ-გვერდზე](#);
- სამოგზაურო პასპორტი (და სურათიანი გვერდის ორის ასლი);
- მათთვის, ვინც არ არის საქართველოს მოქალაქე: საქართველოში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი;
- ორი ბიომეტრიული ფოტოსურათი (ცალკე დაურთეთ განაცხადს);
- სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურის ცნობა დაქორწინებისთვის აუცილებელი ყველა წინაპირობის არსებობის თაობაზე ან გერმანიის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ერთ-ერთ სამსახურში რეგისტრაციის დასტური;
- ადრინდელი ქორწინებების შემთხვევაში: ყველა ადრინდელი ქორწინების, გარდაცვალების, განქორწინების მოწმობები/განქორწინების განაჩენები იურიდიულ ძალაში შესვლის ჩანაწერებით, გვარის შეცვლის მოწმობები
- გერმანიაში მცხოვრები მომავალი მეუღლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ორი ასლი, ასევე საცხოვრებლ ადგილზე რეგისტრაციის ცნობის ორი ასლი (რომელიც განაცხადის

### მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.

თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზ. 166, ტელ.: + (995 32) 243 53 99, ფაქსი: + (995 32) 291 16 51, +49 30 5000 67133

[HTTP://WWW.TIFLIS.DIPLO.DE/](http://www.tiflis.diplo.de/)



გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის საელჩო  
თბილისი

**მნიშვნელოვანი მითითება:** სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადაადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს [www.tiflis.diplo.de](http://www.tiflis.diplo.de).

სატელეფონო ინფორმაცია:  
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399  
ინფორმაცია ელ. ფოსტით: [visa@tifl.diplo.de](mailto:visa@tifl.diplo.de)

შემოტანისას ექვს თვეზე დიდი ხნის არ უნდა იყოს), ხოლო უცხოეთის მოქალაქის შემთხვევაში დამატებით გერმანიაში ყოფნის უფლების ორი ასლი

- გერმანიაში მცხოვრები მომავალი მეუღლის მიერ თავისუფალი ფორმით შედგენილი მიწვევა, რომლითაც იგი ადასტურებს ოფიციალურ ქორწინებაში ცხოვრებისა და დაქორწინებისათვის აუცილებელი ხარჯების საკუთარ თავზე აღების სურვილს (უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის §66-68 შესაბამისად).  
თქვენმა მომავალმა მეუღლემ დროულად უნდა გაარკვიოს უცხოელ მოქალაქეთა საქმეების ადგილობრივ უწყებასთან, გჭირდებათ თუ არა განაცხადის ჩაბარებისას ოფიციალური (!) ვალდებულების თავის თავზე აღების შესახებ განცხადება (Verpflichtungserklärung).
- გერმანიაში მცხოვრები მომავალი მეუღლის შემოსავლის დამადასტურებელი საბუთები (მინიმუმ ბოლო სამი თვის).
- გერმანული ენის ელემენტარულ დონეზე (A1) ცოდნის დამადასტურებელი საბუთი ენის სერტიფიკატის სახით (და არა ენის კურსში მონაწილეობის მიღების საბუთი!). თქვენ თავად უნდა გადაწყვიტოთ, სად ისწავლით ენას. საელჩო აღიარებს მხოლოდ სერტიფიცირებული ორგანიზაციების A1-სერტიფიკატებს (მაგ.: გოეთეს ინსტიტუტი, ავსტრიის ენის დიპლომი - ÖSD, Telc-GmbH და ასევე TestDaF). გთხოვთ, გაეცნოთ დამატებით ინფორმაციას და გამონაკლისებს სპეციალურ საინფორმაციო ფურცელში გერმანული ენის ელემენტარული ცოდნის დადასტურების შესახებ.
- საჭიროების შემთხვევაში სხვა საბუთები და სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევა (სავიზო განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ვიზის მიღებისას უნდა წარადგინოთ სამოგზაურო ჯანმრთელობის დაზღვევის მოქმედი საბუთი, თუ ასეთი საბუთი უკვე წინასწარ არ გაქვთ ჩაბარებული).

გთხოვთ, ყველა საჭირო საბუთი წარმოადგინოთ ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით სამ კომპლექტად და შესაბამისი საბუთის წინ არსებულ პატარა ოთხკუთხედში მოხაზოთ, რომ შეგიძლიათ იქ მითითებული საბუთის წარმოდგენა.

გთხოვთ, საბუთები შემდეგი თანმიმდევრობით დააწყოთ:

- პირველ და მეორე კომპლექტებში: შესაბამისად თითო-თითო ანკეტა და განცხადება ყველა სხვა დოკუმენტების ასლებთან ერთად მოცემული თანმიმდევრობით;
- მესამე კომპლექტში: ყველა ორიგინალი საბუთი მოცემული თანმიმდევრობით.

**მნიშვნელოვანი მითითებები:**

- განაცხადის შემოტანისას ან განაცხადის განხილვისას შეიძლება მოვითხოვოთ დამატებითი საბუთები, რომლებიც აქ არ არის მითითებული.
- დასაქორწინებლად საჭირო ვიზა გაცივმა მხოლოდ სრულწლოვან პირთათვის (18 წლის ზევით)
- დამატებით ინფორმაციას „საზღვარგარეთიდან მეუღლესთან გერმანიაში საცხოვრებლად ჩასვლისთვის აუცილებელი გერმანული ენის ელემენტარულ დონეზე ცოდნის საბუთის

*მითითება:*

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის საელჩო  
თბილისი

**მნიშვნელოვანი მითითება:** სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადაადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს [www.tiflis.diplo.de](http://www.tiflis.diplo.de).

სატელეფონო ინფორმაცია:  
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399  
ინფორმაცია ელ. ფოსტით: [visa@tifl.diplo.de](mailto:visa@tifl.diplo.de)

შესახებ“ იხილავთ გერმანიის მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალური უწყების სპეციალურ ბროშურაში გერმანულად და რუსულად [აქ](#).

- დაქორწინება მოკლე ხანში უნდა ხდებოდეს. დაქორწინებისათვის შეტანილი განაცხადი ძალას კარგავს გაცემიდან ექვსი კვირის შემდეგ. ვიზის გაცემემდე ცნობილი უნდა იყოს დაქორწინების თარიღი.
- განაცხადის განხილვას როგორც წესი სჭირდება დაახლოებით 10-12 კვირა, მაგრამ ერთეულ შემთხვევებში ეს დრო შეიძლება გაიზარდოს.
- გთხოვთ, არ მოგვმართოთ შეკითხვებით ჩაბარებული სავიზო განაცხადის განხილვის პროცესში. მონაცემთა დაცვის სამართლებრივი მიზეზების გამო ჩვენ ვერ გავცემთ ტელეფონით ინფორმაციას სავიზო განაცხადების განხილვის შესახებ.
- სავიზო განაცხადის შემოტანის საფასური შეადგენს 75 ევროს (18 წლამდე - 37,50 ევროს) და გადახდილ უნდა იქნეს განაცხადის შემოტანისას იმ დღეს არსებული აქტუალური კურსით ლარში. საფასურის გადახდა სხვა ვალუტაში ან სადებეტო/საკრედიტო ბარათებით შეუძლებელია. გარკვეული ქვეყნების მოქალაქეებზე ვრცელდება საფასურის შემცირების ბილატერალური შეთანხმებები.

**გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ საბუთები სრულყოფილი სახით წარმოადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, თქვენი სავიზო განაცხადი უარყოფილ იქნეს.**

ჩვენ რეგულარულად ვანახლებთ ამ საინფორმაციო ფურცელს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ მასში მოცემული ინფორმაცია არ იყოს სრულყოფილი. ერთეულ შემთხვევებში შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი საბუთების ჩაბარება.

**მითითება:**

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.